საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/153

ქ. ბათუმი 18 აგვისტო, 2023 წ.

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/77 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2023-2024** სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრისათვის** განისაზღვროს **ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **შემდეგი ვადები:**

   ა) I ეტაპზე - 2023 წლის 15 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 40%;

   ბ) II ეტაპზე – 2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%;

   გ) III ეტაპზე – 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%.

2. ბსუ-ს <u>პირველი საფეხურის/მედიცინის და სტომატოლოგიის</u> ერთსაფეხურიანი/დაწყებითი განათლების მასწავლებლის <u>საბაკალავრო-სამაგისტრო/მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიანი)/ქართულ ენაში</u> მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე <u>სამაგისტრო და</u>

სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა (შემდეგში - **პირველსემესტრელი) უნდა გადაიხადონ:**

2.1. პირველი საფეხურის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან/დაწყებითი განათლების მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - არანაკლებ 800 ლარი;

ბ) II ეტაპზე (2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **გადაუხდელი ნაწილი, თანაბარწილად;**

2.2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - ბსუ-ში ჩარიცხვისათვის რეგისტრაციის და ხელშეკრულების გაფორმებისთანავე - **არანაკლებ 1000 ლარი;**

ბ) II ეტაპზე (2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **გადაუხდელი ნაწილი, თანაბარწილად.**

3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „აკადემიური კალენდარი“ და „რექტორის აქტები“), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
5. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**